ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 08 იანვრის სხდომის

ოქმი N1

დაბა ხარაგაული 2019 წლის 08 იანვარი

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, გივი ხიჯაკაძე, ბესიკ ტალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, დავით მაღლაფერიძე, აკაკი მაჭავარიანი, ინგა მაღრაძე, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი, სულ საკრებულოს 28 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

შავლეგო ტაბატაძე იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული -გუბერნატორი

მერიის წარმომადგენლები:

ნიკოლოზ თოფურიძე მუნიციპალიტეტის მერი,

არჩილ მაღრაძე- მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

თემურ თაბუკაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი,

ჯაბა ბერაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

ირინე ჩხეიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი,

გიორგი ჭყოიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

ლაშა გელაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე -საკრებულოს აპარატის იურისტი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ლელა ბუბულაშვილი – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

ეკა შავიძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" დირექტორი,

მანანა ბაბლიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

თეა ბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

ლაურა გოგოლაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის“ რედაქტორი,

ნინო კაპანაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

თამთა გოგოლაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

ლაშა ნიქაბაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორი,

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე-28

წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ნიკოლოზ თოფურიძე

2 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ თავმჯდომარის მოხსენება გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: იუზა კელენჯერიძე

3. .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/72 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის #50/70 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

მოისმინეს:.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ნ. თოფურიძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ მან თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში შექმნილ პრობლემებზე, ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდა კადრების დასაქმების საკითხებზე და კმაყოფილება გამოხატა მათ მიერ გაწეული საქმიანობის მიმართ და მადლობა გადაუხადა, ის ასევე შეეხო მერიის საქმიანობას სხვადასხვა სფეროში (ანგარიში თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

შ. ლურსმანაშვილმა, რომელმაც რამდენიმე კითხვით მიმართა მომხსენებელს:

-როგორ ხდება პრიორიტეტების შერჩევა,

- რამ გამოიწვია ვადების გადაწევა

- რატომ არ ინიშნება თეთრაწყაროში სპეციალისტი

ნ. თოფურიძემ უპასუხა, რომ პრიორიტეტების შერჩევაში მონაწილეობენ მერის წარმომადგენლები, მაჟორიტარი დეპუტატები და მოსახლეობა, რაც შეეხება თეთრაწყაროში სპეციალისტის დანიშვნას სახელმწიფომ შეგვიმცირა შტატები და მოყვა თეთრაწყაროც ახლა შტატი გადმოვიტანეთ სხვა ერთეულიდან და 3 იანვარს დაინიშნება.

შ.ლურსმანაშვილი წეღან გკითხეთ პრიორიტეტის შერჩევა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა მთავრობის 31 დეკემბრის განკარგულებით მიიღო 3 670 000 ლარი და ერთ პატარა თემს, ახლობლურად გაუნაწილეთ 1 200 000 ლარი. თანმიმდევრობასა და პრიორიტეტულ პრინციპს ხშირად არღვევთ.

ნ.თოფურიძე ვინც ჩემ კაბინეტში შემოდის ყველას ვეხმარები.

დ. კიკნაძემ დასვა შეკითხვა 2018 წელს რატომ ვერ მოხერხდა ვერცერთი პროექტის განხორციელება. საღანძილეში მძიმე მდგომარეობაა ზარან - საღანძილის გზაზე და როგორც ვიცით 4 ხიდ - ბოგირია გატანილი ტენდერზე და როდის დასრულდება. საბავშო ბაღი,რომლის პროექტის შედგენაში თქვენი ინფრასტრუქტურის სამსახური მე მავალდებულებდა საბავშო ბაღის პროექტის შეკვეთას და შეძენას, რადგან არამიზნობრივად თვლიდნენ, მერის პირველი მოადგილე და ინფ.სამს.უფ-სი ბიუჯეტის თანხით პროექტის შეძენას.

ნ. თოფურიძემ უპასუხა, რომ ზარანი - საღანძილის გზა ჩადებულია 2019 წელს და 2 წლის განმავლობაში საღანძილეში დაიხარჯება 1.5 მლნ. ლარი.

დ.კიკნაძე ა(ა)ი.პ.-ების რეორგანიზაციაზე, თქვენი ოფიციალური წერილობითი პასუხიდან გამომდინარე, უნდა გამონთავისუფლებულიყო 200 000 ლარი, საიდანაც 100 000 ლარი უნდა მიგემართად სოც. სამსახურის მიმართულებით, ნაცვლად ამისა გაათავისუფლეთ ათეულობით თანმშრომლები და 2018 წელს არ გაცემულა არცერთი ერთჯერადი სოც.დახმარება

ნ.თოფულიძე თეატრი გავარემონტე წყალი ჩამოდიოდა, თანამშრომლები მე არ გამინთავისუფლებია.

პ. გოგოლაძემ აღნიშნა, რომ დაბაში 1.5 წელია არაფერი არ გაკეთებულა, რაც დაანონსებული იყო , ჩვენ ვერ დავინახეთ რეორგანიზაციიდან მიღებული 250 000ლარი, განთავისუფლდა კადრები, ვერ დავინახეთ თქვენი მიდგომა, რომ 2018 წელს შეუსრულებელი პროექტების დასრულდება, რამოდენიმე დღის წინ შევიკრიბეთ უმრავლესობა და მათი პოზიცია არის ის, რომ არ არიან მერის საქმიანობით კმაყოფილები ფრაქცია, ამიტომ მერის საქმიანობას უარყოფითად ვაფასებთ და ეს არის სამეურნეო კუთხით, რაც შეეხება პოლიტიკური მიმართულებით იქაც უარყოფითად ვაფასებთ თქვენს მუშაობას და დანარჩენის გაგრძელებას ამ კუთხით აქ აღარ ვაპირებ.

მ. ფხალაძემ აღნიშნა, რომ 2018 წელს 31 პროექტიდან ვერ დასრულდა 21 პროექტი, ერთიდა იგივე ტენდერი არაერთხელ ჩავარდა. რას აპირებს მერია ისევ იმ კომპანიებთან აპირებთ ხელშეკრულების გაგრძელებას ?

ნ.თოფურიძე სავარაუდოდ შეუწყდება მხოლოდ ერთ კომპანიას.

მ. ფხალაძე მერის მიერ 110 ელექტრო ტენდერიდან არ შედგა 32 ტენდერი, თუ დაინტერესდა ვინმე ამის მიზეზების გარკვევით?

ნ.თოფურიძე ეტაპობრივად ვამატებიდით თანხებს

მ.ფხალაძე სარეზერვო ფონდიდან მერიამ რატომ არ შეიყიდა, სტიქიის საპროექტო დოკუმენტაცია და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი 2017 წლის სტიქიის თანხებიდან რატომ არის ასეთი მცირე ათვისების მაჩვენებელი?

ნ.თოფურიძე კომპანიებმა არ მიიღეს მონაწილეობა ტენდერში, კანონებია შესაცვლელი და ვერ ვიძალადებ მეწარმეებზე.

მ.ფხალაძე რატომ არ აქვს მონაწილეობა მიღებული საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებს და მოსახლეობას პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში.

ნ.თოფურიძე ვინც ჩემთან დააკაკუნებს იმას მიეცემაო.

ი.პაქსაშვილი ბორითში ანგარების დასახლებაში, მდ.ძირულაზე გამავალი სამანქანო ხიდი თითქმის წაქცეულია. პროექტი ნოემბერში უნდა დასრულებულიყო, რომელიც ჯერაც არ გაკეთებულა. მოსახლეობას სხვა შემოვლითი გზა არ აქვს. მე როგორც სოფლის მაჟორიტარს პასუხები არ მაქვს, ასევე არ მაქვს პასუხი 2000-მდე ბორითის მაცხოვრებლებისათვის სადაც წლებია ერთი მეტრი გზაც არ დაგებულა და არავითარი სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები არ გაკეთებულა.

ნ.თოფურიძემ უპასუხა, რომ ამაში ვერ დაეთანხმება.

ვ.ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2017 წელს ბაზალეთში სტიქიის შედეგად დაზიანდა ინფრასტრუქტურა, დღემდე ტენდერი არ გამოცხადებულა სამუშაოებზე, მაინტერესებს როდის გაკეთდება დაზიანებული ინფრასტრუქტურა და რა პასუხი გავცე მოსახლეობას,რომელიც გაღიზიანებულია დაუწყებელი.მიტოვებული და დაუსრულებელი პროექტების გამო.

ნ. თოფურიძემ უპასუხა, რომ ძალიან გაიწელა ტენდერი, თავიდან არავინ არ შემოვიდა 5000 ლარიან პროექტზე, მოსახლეობას სწორად უნდა აუხსნათ პრობლემები, რეგულაციებია შესაცვლელი.

ი.მაღრაძემ შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ შემოწმდა ა.ა.ი.პ- ის საქმიანობა და აღმოჩნდა სერიოზული დარღვევები, მაინტერესებს რა ღონისძიება გატარდა თქვენს მიერ

- თქვენი დამოკიდებულება დღის ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

ნ. თოფურიძემ უპასუხა, რომ დიდი სიფრთხილით ვეკიდებით ა.ა.ი.პ-ი საკითხს,ჩვენ თითოეულ მათგანს შევხვდით პროცესმა უმტკივნეულოდ ჩაიარა ამჟამად მიდის მუშაობა გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად, რაც შეეხება ეკო სოფელს იუსაიდთან მიდის მოლაპარაკება, ველოდებით მათ და თუ რაიმე სიახლე იქნება ინფორმაცია გახდება საჯარო,დღის ცენტრთან დაკავშირებით მინდა გითხრათ რომ კიცხში გაკეთდა დღის ცენტრი ბორის პანსიონის ბზაზე, გაიხარჯა თანხა, ფუნქციონირებს? , შემოვიტანეთ ინვენტარი გაუხსნელი დევს დღესაც.

ქ. ზუმბაძემ აღნიშნა, რომ ვერ დაგეთანხმებით, რომ ორი წელი არაფერი არ გაკეთებულა დაბაში, ჩვენი თანხმობით გადავეცით ეს თანხა სოფლებს მე კარგად მახსოვს, როგორ აწერდნენ ხელს ესტრადის რემონტს, ლეღვნის უთავბოლო ხიდის, ნადაბურის მოედნის მშენებლობის პროექტებს წინა ხელსუფლების დროს ამაზე რეაქცია რატომღაც არ მახსოვს და ახლა სხვისკენ ნუ მივიშვერთ ხელს. მაინტერესებს როდის დაიწყება N3 საჯარო სკოლის რემონტი, მე -2 სკოლას არ აქვს დარბაზი. ასევე მაინტერესებს იგეგმება თუ არა ა.ა.ი.პ. -დან ხალხის გაშვება.

ნ. თოფურიძემ უპასუხა, რომ წინა ხელისუფლების მიერ ნაკეთებ საქმეზე მე პასუხს ვერ ვაგებ, ჩვენი მიზანი არის, როგორც მატერიალური ასევე სულიერი მხარდაჭერა თუ ვინმეს რაიმე ზიანი მიადგა ამას გამოვასწორებთ რაც შეეხება სკოლების საკითხს ამას ჭირდება საკანონმდებლო რეგულაცია და ამის შემდეგ გადაწყდება ეს საკითხი.

თ ავალიშვილმა დასვა შეკითხვა როდის აღმოიფხვრება ვახანის, ზედა ლაშის, ჩხერის გზებზე დაშვებული ხარვეზი და ასევე მაინტერესებს ბაზალეთი - ღორეშის გზის საკითხი

ნ. თოფურიძემ უპასუხა, რომ ჩემამდე გაკეთებულ გზებზე მე პასუხს ვერ გაგცემ, რაც შეეხება ჩვენ პერიოდს ეს ხარვეზები მიწოდებულია მეწარმეზე მიცემულია ვადა აღმოსაფხვრელად თუ არ აღმოფხვრიან თანხას ვერ მიიღებენ.

თ.ავალიშვილი,ბატონო ნიკო ჩემ მიერ ჩამოთვლილი ყველა პროექტი თქვენს დროს არის გაკეთებული.

გ.ხიჯაკაძემ აღნიშნა, რომ ვარძია სადაც 800-მდე ამომრჩეველია 500 მეტრიანი გზაც არ დაწყებულა.

გ. თავზარაშვილმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა მერის ანგარიშის მიხედვით ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების პროცენტულ მაჩვენებლებზე და აღნიშნა, რომ შედეგებიდან გამომდინარე მერის საქმიანობა ამ კუთხით არადამაკმაყოფილებლად შესაფასა

ვ. ჭიპაშვილმა შემაჯამებელ გამოსვლაში აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებს არ ეძლევა დროული და სრულყოფილი საჯარო ინფორმაცია,მერიის მხრიდან არაა ანგარიშვალდებულების განცდა საკრებულოს წინაშე,ვერ იქნა ათვისებული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გათვალისწინებული ხარჯები,არ

დასრულებულა პროექტები,სათანადოდ ვერ უზრუნველყო მერიის შესაბამისმა სამსახურმა მუნიციპალიტეტის ქონებების მოვლა-პატრონობა, 2018 წლის განმავლობაში მერიამ არ გაითვალისწინა საკრებულოს მიერ შემუშავებული საბიუჯეტო შენიშვნების უმეტესობა, რეორგანიზაციის შედეგად არ გამოთავისუფლდა დაპირებული თანხები,რომელიც უნდა მოხმარებოდა სხვადასხვა მუნიციპალური პროექტების განხორციელებას, წელიწადზე მეტია არ მომხდარა სტიქიის სალიკვიდაცო ღონისძიებების გატარება სოფლებში,არ დასრულებულა ინვენტარიზაციის პროცესი,მერია თანამონაწილეს არ გვხდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების შერჩევისას,ამავე დროს პროექტების დაგეგმვისას იკვეთება პერსონალური მიდგომები და ირღვევა თანაბრობის პრინციპი.არა გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციები უმრავლეს შემთხვევაში,აუთვისებელი დარჩა სოფლის მეურნეობისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსახლეობის უზრუნველყოფის კუთხით დაგეგმილი ხარჯები,მაშინ როდესაც ამ კკუთხით მოსახლეობა ხელშელშეწყობას ,მერმა ისაუბრა მხოლოდ წარმატებებზე და სამსახურის უფროსები აქო,აქ არ ჩანს თვითკრიტიკა,პრობლემებზე უნდა საუბრობდეთ ,არ სრულდება მოსახლეობისადმი მერიის მხრიდან გაცემული დაპირებები.მაგალითად 2 წელზე მეტია არ აშენებულა სოფელ ვერტყვიჭალასა და საღანძილეში საბავშვო ბაღები.კარგად ვიცნობ მოსახლეობის განწყობას,მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებს,მერიის სამსახურების მუშაობა 2018 წლის მდგომარეობით უარყოფითად შევაფასე და შესაბამისად მერის საქმიანობას უარყოფითად ვაფასებ.

შავლეგო ტაბატაძემ იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულმა -გუბერნატორმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კარგია, როცა ამ ფორმატში ტარდება ეს სხდომა მე პირადად არცერთ მუნიციპალიტეტში არ ვყოფილვარ ამ ფორმატით შეხვედრაზე, კრიტიკა მისაღებია და კარგი, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ მე ვაპირებ ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით შემოვიარო ყველა სოფელი, შევხვდე მოსახლეობას გავიგო მათი პრობლემები, რა სურთ და შევქმნა ბადე რომლის მიხედვით დაიგეგმება მომავალი საქმიანობა, პრობლემა, რომელიც ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით შეიქმნა არ შეიძლება დავაბრალოთ ერთ პიროვნებას ამ შემთხვევაში მერს, ეს არის ყველას პრობლემა ჩემი, თქვენი, მათი და ამას მარტო მერი ვერ გადაწყვეტს გამოსავალი ერთად უნდა ვეძებოთ მე მაინტერესებს რატომ ვერ აითვისა ხარაგაულმა კენკროვანი პროექტი არ ვიმუშავეთ კარგად ინფორმაცია ვერ მივიტანეთ ხალხთან, ითქვა სკოლის პრობლემებზე ეს უფლება მოსილება გადმოეცემა მუნიციპალიტეტებს ამისათვის საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებაა საჭირო და შემდეგ გადაწყდება, მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია და აქაც აღინიშნა, რომ საკრებულოს, მერიის ყველა სამსახურის საქმიანობა დადებითად აქვს შეფასებული, მომავალი წლიდან შეიცვლება მიდგომები წარმომადგენლების დანიშვნის საქმეში ის ვინც საქმის გამკეთებელია გააგრძელებს მუშაობას ვინც არა გათავისუფლდება. რაც უფრო მეტი კრიტიკულები ვიქნებით უკეთესია მაგრამ უნდა

დავფიქრდეთ სამომავლოდ, ყველაფერი უნდა მივიტანოთ ხალხთან ყველაზე კარგი შემფასებელი ხალხია.

საკრებულოს წევრებმა: მარინა ხვედელიძემ, დავით კიკნაძემ, მალხაზ ფხალაძემ თავის შემაჯამებელ გამოსვლაში მერის საქმიანობა უარყოფითად შეაფასეს.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ შეფასებებში ობიექტურები უნდა ვიყოთ, აქ ვხედავ პერსონალურ მიდგომებს ჩვენი ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის“ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ მერიის ყველა სამსახურის საქმიანობა დადებითად გაქვთ შეფასებული, თქვენივე გამოსვლებიდან ირკვევა, რომ მერიაში არის პრობლემები, კრიტიკა უნდა იყოს მიზანმიმართული და გამოსწორებადი ჩვენი ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

შავლეგო ტაბატაძემ აღნიშნა, რომ დღეს მრჩება შთაბეჭდილება, რომ ოპოზიცია უფრო კონსტრუქციულია ვიდრე თქვენ უმრავლესობა, მე მგონი უმრავლესობა შიდა დაპირისპირებებს უფრო მეტ დროს ანდომებს, ვხედავ რომ მერია და საკრებულო სხვადასხვა მხარეს დგას და ისმის ბრალდებები ეს რატომ არ გაკეთდა ის რატომ არ გაკეთდა, უბრალოდ რასაც ვუყურებ თითქოს ერთი ადამიანია დამნაშავე.

დებატების დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ რეპლიკის სახით განაცხადა:

ბატ.ნიკოლოზ თქვენ ხშირად აპელირებთ, რომ წინა წლებში გაკეთებულ და გასაკეთებელ საქმეებზე პასუხს არ აგებთ. მინდა გიპასუხოთ, რომ 2012 წლიდან ,,ქართული ოცნებ “-ის ხელისუფლება ვაგებთ პასუხს. ასევე მინდა გითხრათ, რომ ავტობანთან დაკავშირებით ბორითის ცენტრი,მთლიანად თავის ინფრასტრუქტურიანად იშლება, ვეთანხმები დეპუტატს, იქ არაფერი არ გაკეთებულა. თქვენ ახსენებთ ,,თანხებს უფრთხილდებით“ არამიზნობრივად, თქვენი მეგობრების რესტორნებში გადარიცხეთ 20 000 ლარი (დოკუმენტი მიაწოდა გუბერნატორს) ერთპიროვნულად ,,ხოშის განცდით“ წყვეტ პრიორიტეტულ დოკუმენტებს და საკრებულოს დეპუტატებს კნინობით ფორმატში მოიხსენიებთ. დანარჩენს აქ არ გავაგრძელებთ, სხვა ფორმატში მოგიწევთ პასუხის გაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს წევრების მიერ დასმული წინადადება მერის საქმიანობის უარყოფითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი,

მომხრე 20

წინააღმდეგი 1

თავი შეიკავა 7

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების „ თავმჯდომარის მოადგილის გივი ხიჯაკაძის მოხსენება საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა:

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ანგარიში საკითხზე- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ(თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა:

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 ევრი,

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 4

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/72 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა:

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის #50/70 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა:

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი,

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დამთავრებულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე